



1848511417322

www.info.court.ge

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
დ. აღმაშენებლის ხეივანი XII კმ. N6

საქმე #3/189-13

18.10.2013

ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
მის: თბილისი, მაჭავარიანის (არაგვის) ქ. 4

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა
კოლეგიის 2013 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება.

დანართი: „7“ ფურცელი.

ირმა კვაჭაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლის თანაშემწე



1838258040213

www.info.court.ge

საქმე #3/189-13

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

26.09.2013 წ

ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო ონიანი
სხდომის მდივანი ნატო მიქელაშვილი

მოსარჩელე - ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
თავმჯდომარე - ლევან ავალიშვილი
გამგებობის წევრი - გიორგი კლდიაშვილი
მოსარჩელის წარმომადგენელი - უჩა სეთური

მოპასუხე - თბილისის საქალაქო სასამართლო
მოპასუხის წარმომადგენელი - ნინო შჩერბაკოვა

დავის საგანი - ქმედების განხორციელება - საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1 ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2012 წლის 20 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ელექტრონული პროგრამების მეშვეობით - გაგზავნილი OPD12/12-032 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემა.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1 მოპასუხე თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელი არ ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას, მხარს უჭერს წარმოდგენილ შესაგებელს, ითხოვს უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო და განმარტავს, რომ ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება არა საჯარო, არამედ საიდუმლო ინფორმაციის კატეგორიას, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ნ" ქვეპუნქტით განმარტებულია, როგორც საჯარო დაწესებულებაში დატული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ

საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1 ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2012 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ელექტრონული პროგრამების მეშვეობით - OPD12/12-032 წერილით მოითხოვნილი იქნა საქართველოს ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემა. კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე, 37-ე, 38-ე, მე-40 და 44-ე მუხლების თანახმად მოითხოვა:


1) 2012 წლის 21 ოქტომბრიდან წინამდებარე წერილის მიღებამდე, თუ რამდენი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების - "სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერის" შესახებ შუამდგომლობა განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ.

2) 2012 წლის 21 ოქტომბრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე, თუ რამდენი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების - "სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერის" შესახებ შუამდგომლობა დააკმაყოფილა (გაცა ბრძანება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ;

3) 2012 წლის 21 ოქტომბრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე, თუ რამდენი მოსამართლის სანქციის გარეშე განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება - "სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა" იქნა ცნობილი კანონიერად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ.

4) 2012 წლის 21 ოქტომბრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე, თუ რამდენი მოსამართლის სანქციის გარეშე განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების - "სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა" იქნა ცნობილი უკანონოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ.

ამავე წერილით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოითხოვა აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტებლივ მიწოდება. ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, მოითხოვა ინფორმაციის მიწოდება ქსეროასლის ან ელექტრონული დოკუმენტის სახით.



სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2012 წლის 20 დეკემბრის

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2012 წლის 20 დეკემბრის OPD12/12-032 წერილი.

სამოტივაციო ნაწილი:

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა მტკიცებულებები და ურთიერთშეაჯერა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემას.

6.2 ამავე კოდექსის 33¹-ე მუხლის შესაბამისად თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება.

6.3 სასამართლო აღნიშნავს, რომ ქმედების განხორციელების თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების კანონისმიერი პირობა კუმულატიურია: 1. უარი ქმედების განხორციელებაზე უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო; 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ერთ-ერთი ამ ელემენტის არარსებობისას სარჩელის დაკმაყოფილება გამოირიცხება.

6.4 საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ადამიანის უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრინციპების აწესებს, ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი, ხოლო საჯარო

დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის ვალდებულება დადგენილია ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით. ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია.

6.5. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, ასევე საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილების მქონეა, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ამასთან, ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნა ვრცელდება საჯარო დაწესებულებაზე. ხოლო საჯარო დაწესებულების ცნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მიზნებისათვის განმარტებულია ამავე თავის 27-ე მუხლში, რომლის თანახმადაც ის მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს და სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის პირს მხოლოდ ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

6.6 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქ/პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოს ან დაწესებულებას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ამავე მუხლის „კ“ ქ/პუნქტის თანახმად კი ადმინისტრაციული წარმოება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემის და აღსრულების ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების, ან გაუქმების მიზნით.

6.7 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად.

6.8 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (რომელიც შესაძლებელია იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ნახაზის, მაკეტის, გეგმის, სქემის, ფოტოსურათის, ელექტრონული ინფორმაციის, ვიდეო და აუდიო ჩანაწერის სახით), რომელიც საჯარო დაწესებულებამ ან მოსამსახურემ მიიღო, დაამუშავა, შექმნა ან გაგზავნა მოსამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ მოსამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გადაგზავნილი ინფორმაცია. ამდენად, საჯაროა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც

დაცულია საჯარო დაწესებულებაში.

დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს მისი მიღების ფორმა თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, გაეცნოს ინფორმაციას დედანში და, ასევე, მოითხოვოს მისი ასლი.

6.9. უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების სწორი ფორმის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიების სწორი სამართლებრივი შეფასება. საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებულ პირს შეუძლია, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელება ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

6.10. სასამართლო აღნიშნული ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების დეფინიციის /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტი/ მიხედვით ეს არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

6.11 სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული ორგანო (საინფორმაციო რეესტრის სუბიექტი) ვალდებულია - შეაგროვოს (დაამუშავოს) ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით.

6.12 ამდენად, თუ საჯარო დაწესებულებას დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მზა სახით არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით განისაზღვრება 2 პირობა, როდესაც დაწესებულება ვალდებულია - დაამუშავოს ინფორმაცია: ა) შეაგროვოს (დაამუშავოს) ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით; ბ) ინფორმაცია (მონაცემები) სისტემატიზდება მათი უბრალო, მექანიკური თავმოყრით, რაც არ უნდა იწვევდეს მათი ლოგიკური სინთეზით ახალი დოკუმენტის შექმნას.

6.13 მოსარჩელის უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს მოთხოვოს რამდენიმე მოქმედების განხორციელება, შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის ნორმიდან, კონკრეტული კანონიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან,

ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან ან ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან.

ქმედების განხორციელების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ნორმა.

6.14 მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველების შემოწმება სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე მოქმედების განხორციელებაზე ან მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე.

მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველების არსებობა თავისთავად მიუთითებს ამ უფლების მატარებლის კანონიერი უფლებების ან ინტერესის ხელყოფაზე, ამდენად მოსარჩელეთა უფლებას, მოითხოვონ რაიმე ქმედების განხორციელება, მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების ან განხორციელებაზე უარის უკანონობაზე და შესაბამისად, დაინტერესებული მხარის კანონიერი უფლებისა და ინტერესის ხელყოფაზე.

სასამართლო განმარტავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნაა, რომ ორგანოები ქმედებას ახორციელებდნენ შეფარდებითობის პრინციპის თანახმად, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობამ არ გამოიწვიოს დასახული მიზნების შეუსაბამო შედეგები. თუ ქმედების განსახორციელებლად რამდენიმე გზა არსებობს, ორგანო ვალდებულია, იხელმძღვანელოს იმ საშუალებით, რომელიც მოქალაქესა თუ საჯარო ინტერესებს მინიმალურ ვნებას მიაყენებს.

6.15 მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე თბილისის საქალაქო სასამართლოს უნდა დაევალოს განიხილოს ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2012 წლის 20 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ელექტრონული პროგრამების მეშვეობით - გაგზავნილი OPD12/12-032 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემის საკითხი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთის თვის ვადაში.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მოპასუხეს - თბილისის საქალაქო სასამართლოს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ოდენობით გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის

პირველი მუხლით, მე-2, 24-ე, 33¹ მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-244-ე, 247-249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და


გადაწყვეტა:

1. დაევალოს მოპასუხე თბილისის საქალაქო სასამართლოს განიხილოს ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2012 წლის 20 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ელექტრონული პროგრამების მეშვეობით - გაგზავნილი OPD12/12-032 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემის საკითხი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთის თვის ვადაში.

2. მოპასუხე თბილისის საქალაქო სასამართლოს დაესკისროთ მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის ოდენობით გადახდა მოსარჩელის ხასარგებლოდ.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისი, გრ. რობაქიძის #7ა) სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6) მეშვეობით.

მოსამართლე



ნინო ონიანი